# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 84 ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 1918 წ. № 84



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერის სეზონი 1918—19 წ.

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, ტ. ს. ორდას, ო. ა. შულგინას და ა. მ. კანშინის მონაწილეობით

## „პაიაცი“ (ქორწინება მოლოროსიაში)

ოპერა ორ მოქმედებათ.

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, ტ. ი. საბანეევას, ბ. ი. ზალიპსკისა, ვ. ა. ნიკოლსკისა და ო. კ. მოროზოვის მონაწილეობით „ლაკმე“.

## სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

## აცხადებს რომ მაზრაში ასარჩევია ექვსი მომრიგებელი მოსამართლე

იმ პირთ, რომელთაც სურთ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა, განცხადება უნდა შემოიტანონ სიღნაღის ერობის გამგეობის სახელზე.

997 2—2

## მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის მსურველთა საყურადღებოთ.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სამინისტროს კანცელარია აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მიღება სურს, რომ სამინისტროში მიცემული თხოვნები მომრიგებელ მოსამართლეთ დანიშვნის შესახებ სამინისტროს მიერ განხილული არ იქნებიან და ამიერიდან სულაც აღარ მიიღებიან სამინისტროს კანცელარიის მიერ. მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მთხოვნელთ მიუხედავათ იმისა, შეტანილი აქვთ მათ ამის შესახებ თხოვნა სამინისტროში თუ არა, უნდა პირდაპირ მიმართონ თავისის შუამდგომლობით სათანადო ქალაქის საბჭოს ან მაზრის ერობას, რომელთაგანაც არის დამოკიდებული ასეთ თხოვნების დაკმაყოფილება.

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გ. ჟორდანია.

## ცენტრალური სასურსათო საბჭოს რწმუნებული

აცხადებს, რომ თანახმათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს 4 ნოემბრის ამა 1918 წ. დადგენილებისა ბადიაურის თივა-ბზის დასამზადებელ სადგურზე (კახეთის რკინის გზის ბადიაურის სადგურის მახლობლად) კვირას, 10 ნოემბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა აღნიშნულ სადგურის ზედმეტი ცხრა ცხენისა. 1000 4—1

## კახელ მემამულეთა საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა

აცხადებს, რომ **საზოგადო კრება წევრებისა** დანიშნულია

ქ. თელავში, 6 დეკემბერს.

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა: 1) განხილვა-დამტკიცება 1917—18 წ. ანგარიშის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები. 2) 1918—1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 3) წევრთა სიის გადაშინჯვა. 4) მიმდინარე საკითხები. 5) არჩევნები: საბჭოს ხუთი წევრის, თანახმად ახალი წესდებისა და არჩევა გამგეობის თავმჯდომარის, ნაცვლად ესტატე პაატაშვილისა, რომელსაც რიგით ვადა უთავდება. 1009 1—1

## ექიმი ი. პ. აბაკელია

### შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.


## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა.

№ 63.

1918 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელმა, ამავე პალატის პროკურორთან შეთანხმებით, სას. წესდ. მე-407 მუხ. თანახმად, დაადგინა: ყოფილი უფროსი კანდიდატი სასამართლოს თანამდებობაზე განჯის ოლქის სასამართლოში ალექსანდრე ვასილის ძე მელიქ-ალახვერდოვი დაინიშნოს უფროს კანდიდატად სასამართლოს თანამდებობაზე ტფილისის ოლქის სასამართლოში.

№ 114.

სასამართლოს თანამდებობათა უმცროსს კანდიდატს ელშინს, დაენიშნა უმცროსის კანდიდატის ჯამაგირი ამა წლის მაისის 21-დგან.

№ 115.

სასამართლოს თანამდებობის უმცროსი კანდიდატი ერნესტინა ბორისის ასული ღვინიაშვილი დანიშნულ იქმნა ოლქის სასამართლოს პირველ სამოქალაქო განყოფილების მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის 21 სექტემბრიდან.

სასამართლოს თავმჯდომარე კ ი ზ ი რ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 6 ნოემბერი

საქართველოში, ამბობენ, ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბერტყია... საქართველო მდიდარია მადნეულობით, ნავთით, სამკურნალო წყლებით, წყაროებით, ტალახებით. საქართველოს გულში მრავალი ძვირფასეულობაა და ჯერ ადამიანის ხელი არ მიჰკარებია. მხოლოდ ოცნებობს ადამიანი, რომ დაიპყროს და მფლობელი გახდეს.

ამ ოცნების განხორციელებაზეა დამოკიდებული საქართველოს მტკიცე კეთილდღეობის და ეკონომიური წარმატების საქმე. ეკონომიური გახვითარება, ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება—გაფურჩქვნა შექმნის იმ მკვიდრ საფუძველს, რომელზეც ჩვენი ქვეყანა ააგებს თავის კეთილდღეობას. ამ მიმართულებით უნდა სწარმოებდეს საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა. ამ მიზნისაკენ უნდა ისწრაფოდეს ყველა, ვინც საქართველოს ნამდვილი მოქალაქეა. ეს იმდენათ დიდი და კარგი საქმეა, რომ სათანადო დაწესებულებებს არ შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ და შესაფერი ნაბიჯი არ გადასდგან. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტრო დღევანდელ შესაძლებობის ფარგლებში ამ მხრივ მუშაობს.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ იმ ერთ მეტათ საგულისხმო ნაბიჯს, რომელიც მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ კომისიას გადაუდგამს. ესაა კანონ-პროექტი სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალხების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ. კანონ-პროექტის აზრით, ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყლები, ტალხები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოწყობისათვის საჭირო ადგილები სახელმწიფოს საკუთრებათ უნდა გამოცხადდეს, რასაკვირველია, იმ სასყიდლის მიცემით, რომელიც პატრონს ეკუთვნის შენობა-მოწყობილების და კურორტის გარშემო მდებარე ადგილების სათვალავში.

არსებული კურორტები დღეს ჩვენში პირველ ყოფილ მდგომარეობაშია. არავითარი წინსვლა მათ მოწყობა-მოწესრიგებაში არა სჩანს. კერძო ინიციატივამ ამ შემთხვევაში შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო და მივიწყებულ-გაპარტახებულია ძვირფასი ადგილები.

აგრარულ კომისიის კანონ-პროექტის მიხედვით ყველა ეს ადგილი სახელმწიფოს ხელში გადადის და მისი მართვა-გამგეობა ენდობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

სახელმწიფო კი დაინტერესებული იქნება, რომ კურორტები გააუმჯობესოს, გაამშვენიეროს, ყველასათვის ხელმისაწდომი გახადოს და სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანოს.

ამ მხრივ ამ კანონ-პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს პარლამენტიც სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს მას.

## მთავრობაში

### კ რ ე დ ი ტ ი

ყველა უწყებისათვის სახელმძღვანელოდ დადგენილ იქმნას საერთო წესად, რომ ათ მილიონიან ფონდიდან კრედიტის გაღება მოხდება მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისათვის, როცა ამ საქმის დაკმაყოფილების დაყოვნება შეუძლებელია და საქმეს შესამჩნევ ზიანს მოუტანს.

### საბავშვო ბაღი

გაიხსნას ტფილისში სახალხო საბავშვო ბაღი. ამ ბაღის შესანახად გაიცეს ხაზინიდან 19200 მან. წლიურად. ეს დადგენილება წარედგინოს პარლამენტს კანონ-პროექტის სახით. რაც შეეხება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს, მისი შენახვა საქართველოს რესპუბლიკისათვის საძნელოა და ამიტომ მიენდოს განათლების მინისტრს გამოარკვიოს ტფ. ქალაქის თვითმართველობისა, აგრეთვე ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობებთან მოლაპარაკებით თუ რა მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ მათ ამ ინსტიტუტის შენახვაში.

### საზ. „რუნეტო“

მთავრობამ საზოგადოება „რუნეტოს“ წინადადებაზე ნავთის შემოტანის შესახებ დაადგინა: მიენდოს მიწათ-მოქმედების, გზათა მიმოსვლისა და ფინანსთა მინისტრებს დანიშნონ წევრები იმ კომისიისათვის, რომელსაც მიენდობა მოლაპარაკება გამართოს საზოგადოებასთან.

## საგარეო საქმეთა სამინისტროში.

### მიწის ჩამორთმევის გამო.

რამდენიმე დღის წინად სომხის დიპლომატიურ წარმომადგენელი შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს ვრცელდება თუ არა მიწის ჩამორთმევის კანონი გარეშე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებზე. ეხლა დიპლომატიური წარმომადგენელი ეკითხება გარეშე საქმეთა მინისტრს შესაძლებელია თუ არა ზევით მოყვანილ შეკითხვის გარჩევამდე შეჩერებულ იქმნას იმ მიწების ჩამორთმევა, რომელიც სომხის მოქალაქეთა საკუთრებას შეადგენს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ბაგრატიონ-დავითაშვილების და სხვათა საქმე

შინაგან საქმეთა მინისტრმა მოისმინა რა საქმე სატუსაღოში მოთავსებულთა გ. და დ. ბაგრატიონ-დავითაშვილების და სხვათა, დაადგინა: 1) გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები გაძევებულ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ადერბეიჯანში უვადოთ; 2) გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილს, იოსებ თადეოზის ძეს ამირეჯიბს და იოსებ თარხნიშვილს მილიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება ქ. ტფილისში პირველი 2 წლის ვადით, მეორე—1 წლის და მესამე 3 წლის ვადით და ამ დროს განმავლობაში მათ აეკრძალოთ გორის მაზრაში ჩასვლა და ტფილისიდან გასვლა; 3) რომან ბეგთაბეგოვი სრულიად განთავისუფლებულ იქმნა.

## სამხედრო სამინისტროში

სომეხთა ეშელონები.

სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო სადგურ აირუმიდან დამცველ რაზმის უფროსის კაპ. დიდებულიძისგან სამი ნოებრის თარიღით: „დღეს გაიარეს მატარებლებმა № 593 და 655 გადიდებულ შემადგენლობით, ორი ორთქლმავალით. შიგ სომეხთა ეშელონები ისხდნენ სხვა და სხვაგვარ ნაწილისა და მოწყალების დებით. ესენი ლტოლვილთა სახით მიემგზავრებოდნენ, ყველანი მტრულ და საომარ გუნებაზე და განწყობილებაზე არიან. მოაქვთ იარაღი და კონტრაბანდა. ვაგონები დახურუ-ლია და დაბეჭდილი. გთხოვთ მაცნობოთ ამნაირი მატარებლები გავატარო თუ არა“.

## გზათა სამინისტროში.

გაგრის ქალაქის მოურავის თხოვნა.

გაგრის ქალაქის მოურავი სთხოვს გზათა მინისტრს განკარგულებას, ქალაქის ორ ნაწილის შესაერთებლად, ტრამვაის ლიანდაგის გაგრძელების შესახებ.

ხიდის ავუთქების გამო.

ძეგვის ხიდის დაზიანების გამო მცხეთასა და ქსან შუა, სწრაფ მატარებლების მიმოსვლა № 1 და 2 ორ ნოემბრიდან ვიდრე ახალ განკარგულებამდე შეწყვეტილია.

—

ძეგვის ხიდის დაზიანების გამო № 3 მატარებელი ამიერიდან ახალ განკარგულებამდე უნდა მგზავრთა გადასხმით სწარმოებდეს და მიმოსვლის დროც შემდეგ ნაირად იქმნეს დაწესებული: ტფილისიდან გავა 16 ს. 10 წ. მცხეთაში იქნება 17 ს. 09 მ. მგზავრთა გადასხმის შემდეგ ქსნიდან გავა 19 ს. გორში მივა 21 ს. 09 წ. და ხაშურში 0.35—და შორაპანში 4.03—4.13.

ნავთის შესახებ შუამდგომლობა.

სიღნაღის ქალაქის გამგეობამ გზათა მინისტრს მიმართა თხოვნით მიეცეს საკმაო ნავთი და მაზუთი წყალსადენის და ელექტრონის სადგურთა საჭიროებისათვის.

გენ. გუბერნატორი ყარალაშვილი.

გუშინ გზათა მინისტრს წარუდგა რკინის გზის ლიანდაგის ახლად დანიშნული გენ. გუბერნატორი ყარალაშვილი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ დაინიშნა მთელი რკინის გზების გენერალ გუბერნატორად.

მუშების გამოხმაურება.

გზათა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ბორჯომიდან: „ბორჯომის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა კრება ტყვიბულის მაღაროებში გაფიცვის შესახებ მოხსენების შემდეგ მწუხარებით აღნიშნავს, რომ ტყვიბულელი მუშები ხშირად შეჰყავთ შეცდომაში ჩვენი რესპუბლიკის მტრებს; კრება სცნობს ასეთ დროს გაფიცვას რევოლიუციის მონაპოვართა და თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებათ უცხადებს ზიზღს ტყვიბულში მოღვაწე ბნელ ძალებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ მიიღოს უსასტიკესი ზომები მათ წინააღმდეგ. ამასთან ბორჯომის რაიონის მუშები მზათ არიან თუ კი საჭირო იქნება მთავრობის პირველ მოწოდებაზე როგორც ერთი კაცი ფეხზედ დადგენ და დაიჭირონ გაფიცულების ადგილი.“ ასეთივე შინაარსის რეზოლიუცია იქმნა მიღებული ხაშურის რაიონის ლიანდაგის დარგის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზედ.

ჯვარედიელები და მათი ჯამაგირები.

სამტრედიიდან გზათა სამინისტროს ატყობინებს სულაბერიძე: „თანახმად მთავარი შტაბის განკარგულებისა რკინის გზის მოსამსახურე ჯვარედიელებზე ჯამაგირის მოთხოვნითი სიები წარეგზავნა რკინის გზის სამმართველოს. უკანასკნელი რამდენიმე სიას აბრუნებს იმ განმარტებით, რომ ჯამაგირი რკინის გზელთა ჯვარედიაში ყოფნის დროს ჯვარედიაში მისცეს. რადგანაც ქუთაისის სამაზრო შტაბი გამოურკვეველია ამ კითხვაში და არ იცის ვის დაუჯეროს, მთავარ შტაბს თუ რკინის გზის სამმართველოს, გთხოვთ უკანასკნელათ აგვიხსნათ, როგორ მოვიქცეთ. მასთან მოგახსენებთ, რომ ასეთ მიწერ მოწერაში დრო ჭიანურდება და ჯვარედიელებს თითქმის ზოგიერთს ოთხი თვეა ჯამაგირი ჭულ არ მიუღიათ დღემდის, რაც იწვევს დიდ უკმაყოფილებას“.

რევიზიის შედეგი.

„გზათა სამინისტრომ სახაზინო რკინის გზათა უფროსს, შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა: „გზათა სამინისტრო გიგზავნით სახელმწიფო კონტროლიორის ამა წლის 31 ოკტომბრის თარიღით № 806 სამინისტროში წარმოდგენილ დასკვნას და აგრეთვე მთელ მიმოწერას მთავარ ბუღალტერიაში მომხდარ რევიზიის შესახებ და, თანახმად მანის ტრის განკარგულებისა, გევალებათ მიიღოთ სასტიკი ზომები გზათა მართველობის, როგორც მთავარ ბუჰხალტერიაში, აგრეთვე ამ უკანასკნელის ქვემდებარე ნაწილებში კონტროლის მიერ აღმოჩენილ ანგარიშის უწესრიგობის აღმოსაფხვრელად. სრული არევ-დარევა და უწესრიგობა ანგარიშის წარმოებაში გამოწვეულია, ერთის მხრით, აგენტების თავის მოვალეობათა ნაკლები შეგნების დონეთი, და, მეორეს მხრით, ხელმძღვანელ უფროსთა დაუდევრობით, რომლებსაც ფხიზლობისა და მუყაითობის წყალობით შეეძლოთ თავიდან აეცილებიათ ის შენიშვნები, რომლებიც იყო შედეგი მთავარ ბუჰხალტერიაში მომხდარი რევიზიისა. ანგარიშის წარმოების შესაფერ დონეზე დაყენება და დამყარება ამ დარგში გზათა ინტერესებისათვის აგრეთვე საჭირო და აუცილებელ უფროსების პირადი ზედამხედველობისა შეადგენს გზათა უფროსის პირდაპირ დანიშნულებას, ხოლო უკვე ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დაწვრილებით გამოსარკვევად და ამის მიხედვით დამნაშავეთა დასასჯელათ მინისტრის განკარგულებით ინიშნება კომისია ინჟ. გიორგი თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც უფლება ეძლევა, საჭიროების მიხედვით, მიიწვიოს კომისიაში მცოდნე და გამოსადეგი პირები.

გაცნობებთ ზემოაღნიშნულს და გთხოვთ არ დააყოვნოთ სათანადო ზომების მიღება მთავარ ბუჰხალტერიაში და მის ქვემდებარე ნაწილებში ანგარიშთ-წარმოების მოსაგვარებლად, ხოლო ინჟ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას კი აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება თავის მოვალეობის შესრულებაში“.

## ფინანსთა სამინისტროში

საქართველოს და აზერბეიჯანის მოლაპარაკება.

პარლამენტის წევრი ა. ასათიანი გაემგზავრა ბაქოს იმ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც იმართება საქართველოსა და აზერბეიჯანს შუა, როგორც წარმომადგენელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

მ ა რ ი ლ ი.

ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა მინისტრმა აცნობა მიწათ-მოქმედების მინისტრს, რომ ტფ. მაზრაში აზამბურის მიდამოებში მდებარეობს გლაუბერის მარილის მადანი, რომელიც სადგ. სართიჭალიდან ექვსი ვერსის მანძილზე მდებარეობს. ეს მადანი 1883 წელს იყო აღმოჩენილი ძმ. კაპანაძეების მიერ, მაგრამ დღემდე არ დამუშავებულა. ამ მადნის დამუშავება საქართველოს რესპუბლიკას ფრიად დიდ ბაზარს გაუჩენს ნამეტნავად ბაქოს ნავთის წარმოებისათვის. სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ექსპლოატაციის დროზე დასაწყებად ეს მადანი იჯარით გადაეცათ ინჟ.-ტეხნ. ი. პ. ბურჯანაძის მეთაურობით შემდგარ ამხანაგობას. მაგრამ, ვინაიდან ეს მადანი სახელმწიფო მიწებშია მოქცეული ფინანსთა მინისტრი სთხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრს, ვიდრე ეს მამული სახელმწიფოს გამგებლობაში გადმოვიდოდეს ნება დართოს ამ ამხანაგობას დაიწყონ მუშაობა ამ მადნებში

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ტყის ჩეხვის წინააღმდეგ.

მიწათ-მოქმედების და შრომის მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბევრ ალაგას დაიწყო ტყის ჩეხვა. ანადგურებენ სახელმწიფოს დიდ საფასურ ნაწილებს და მით მთელი რაიონები უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება, მთიან ადგილების ტყის გაჩეხვის გამო. ტყის დამცველ ადმინისტრაციის ძალთა სიმცირისა და იმ გარემოების გამო, რომ სამინისტროს ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია მრავალი ტყიანი ადგილები, ამ ადგილების დაცვა სამინისტროს არ ძალუძს იმ ზომამდე, რაც საჭიროა. ამისათვის მიწათ-მოქმედების მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს სასტიკი განკარგულება მოახდინოს გუბერნიის მაზრის, ნაწილების და სოფლის კომისრების სახელზე, რომ მათ თავიანთ ნაწილებში ძლიერ ფხიზლათ ადევნონ თვალ-ყური უკანონოთ ტყის გაჩეხვის საქმეს და დაიცვან ტყეების მთლიანობა, ნებართვა არავის მისცენ. შეუთანხმდენ სატყეო უწყებას და ყოველგვარ კანონის დარღვევაში მაცნობონ პირდაპირ მე და თავიანთ პირდაპირ უფროსებს.

## იუსტიციის სამინისტროში

სასამართლო უწყების მოხელეთათვის ჯამაგირების მომატება.

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები. ახალ შტატებით სასამართლოს უწყების მოხელეთა დღევანდელი ჯამაგირები დროებით გადიდებულია სიძვირის გამო.

საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაცია

იუსტიციის სამინისტროში მუშავდება საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი. პროექტის შემუშავების საქმეს ხელმძღვანელობს მინისტრის ამხანაგი გრ. ივ. გველესიანი, რომელსაც დავალებული აქვს უახლოესი ხელმძღვანელობა იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გატარების ინსტრუქცია.

იუსტიციის სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქცია სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად.

საგანგებო სასამართლოში.

საგანგებო სასამართლოს სხდომები დღეს დაიწყება ტფილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში.

გამომძიებელი.

იუსტიციის სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას, რომ თანახმად შეკითხვისა ქ. დუშეთში გამომძიებელი უკვე დანიშნულია და წინადადება მიეცა მას დაუყონებლივ ჩაიბაროს თანამდებობა.

## ფოსტა-ტელეგრაფი.

მანგლის-ტფილისი.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ განკარგულება უბოძოს საგუბერნიო კომისარს, რათა მანგლის-ტფილისის შუა სატელეგრაფო მავთულების დასაცავად შესაფერისი ზომები მიიღოს.

## სასურსათო საბჭოში.

საქონლის თავისუფალი გადაზიდვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცენტრალურ სასურსათო საბჭოსაგან მის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება, რომელიც შეეხება საქონლის გადატან-გადმოტანას საქართველოს რესპუბლიკაში. სასურსათო საბჭო სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განკარგულება მოახდინოს ყველა დაწესებულებათა და ადმინისტრაციის პირთა მიმართ, რათა მიიღონ ზომები და მოქალაქენი არ შეავიწროონ მინიჭებულ უფლებით სარგებლობაში ყველა საქონლის გადატან-გადმოტანის დროს და ეს სავალდებულო დადგენილებანიც გამოაკრან საჯარო ადგილებზე ხალხის გასაცნობათ.

წისქვილის რეკვიზიცია.

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე არდიშვილი ტელეფონოგრამით ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ მისი განკარგულებით მოხდა რეკვიზიცია აკოფოვის წისქვილისა სად. კაჰრეთზე ფხოველის ნავთიან ადგილებში მყოფ მუშათათვის.

## საქართველოს პარლამენტის ნოემბრის 2 სხდომა

(დასასრული)

სპ. კ ე დ ი ა (ნ. დ.) 57 მუხლის დამატებად, მოითხოვს, რომ მეტი გარანტიისთვის, კონვერტებზე აღიბეჭდოს ცენტრალ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელი დ გვარი.

საბჭო წინადადებას უარჰყოფს.

58 და 59, მუხლი უცვლელადაა მიღებული. კამათს იწვევს მე-60-ე მუხლი, რომელიც შეეხება ქალაქის ამრჩეველთა სახელობით მოწმობას. მუხლში სწერია, რომ ამ მოწმობაში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამრჩეველისა.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (დამ. ერ. დემ.). აღნიშნავს, რომ კრება გამოცხადებული არ იყო და ამით ხსნის მრავალ დეპუტატების დაუსწრობლობას. არსებითად მუხლის შესახებ ორატორი აცხადებს, რომ შეუძლებელია ამ მუხლის იმ სახით მიღება, რომლის ძალითაც სახელობით მოწმობაში უნდა აღინიშნოს ამრჩეველის სახელი, მამის სახელი და გვარი ან მეტი სახელი. ორატორის აზრით შეიძლება კაცს 19 მეტი სახელი ჰქვიან, და ამიტომ არ შეიძლება სახელისა და გვარის მაგივრად მის მეტი სახელის აღნიშვნა.

ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი („ალიონელი“). ორატორის აზრით, ამ მეტ სახელს აქ თავისი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგიერთ პირს სახელითა და გვარით კი არ იცნობენ, არამედ უფრო მეტი სახელით. მაგალითად შეიძლება ვეშაპიძე რომ დასწეროთ, ბევრმა ვერ იცნოს და ვეშაპელი კი უფრო ცნობილია.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (დამ. ერ. დემ.) აღნიშნავს, რომ მას სრულებითაც არ უთქვამს გვართან ერთად მეტ სახელს ნუ მოიხსენიებთ, მაგრამ მუხლში სწერია, რომ სახელობით მოწმობაში უნდა აღნიშნული იყოს სახელი, მამის სახელი და გვარი ან მეტი სახელი. ეს იმას ნიშნავს შეგიძლიანთ გვარი და სახელი არ დასწეროთ, ხოლო მის მაგიერ—მეტი სახელი მაგალ. „ხუნხუზი“, „ბრადიაგა“ და ან კიდევ სხვა. აქ არის სიტყვა „ან“ თუ ამას ამოშლით, მაშინ აზრი ექნება ამ მუხლს.

ალ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე (ს.-დ.). როგორც მომხსენებელი, ეთანხმება გაბაშვილს და აღნიშნავს, რომ მუხლში მართლაც შეცდომაა. ან უნდა შესწორდეს, ა ნ-ის ამოშლით ანდა უნდა გაუკეთდეს შენიშვნა იმ სახით, რომ სახელობით მოწმობაში აღინიშნოს სახელსა და გვართან მეტი სახელი იმ ამომრჩევლისა, რომელსაც თავის ნამდვილ გვარითა და სახელით ვერ სცნობენ.

შემდეგი მუხლები 61—98 მიღებულია უცვლელად.

99-ე მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება არჩევნებში ძალადობის ჩამდენთა სასჯელს, სიტყვას იღებს შ. მიქელაძე.

შ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე (ს.-ფ.) აღნიშნავს, რომ რა თქმა უნდა ძალადობის ჩამდენი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციის მოსამსახურეთ. ორატორს შეაქვს დამატება, რომლითაც მოითხოვს ძალადობის ჩამდენ ადმინისტრაციის მოსამსახურეთ სამსახურიდან დათხოვნას და დატუსაღებას.

საბჭო ამ დამატებას უარჰყოფს.

შემდეგი მუხლები 100—119 უცვლელადაა მიღებული.

მიღებულია აგრეთვე საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ გადადებული ხარჯები. გადადებულია 4 მილიონი მანეთი.

იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (ერ.-დემ.) მოითხოვს, რომ კანონში აღინიშნოს დამატების სახით: დამფუძნებელ კრების საარჩევნო მუშაობისათვის მოწვეულ პირებს სალიკვიდაციო არ მიეცემათ.

ალ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. არ ეწინააღმდეგება ლორთქიფანიძის წინადადებას, მაგრამ მას საკმაოდ მიაჩნია ის, რომ სამუშაოდ მოწვეული პირები მიღებულ იქნებიან იმ პირობით, რომ სალიკვიდაციო არ მიეცემათ.

საბჭო იღებს ლორთქიფანიძის შენიშვნას.

დასასრულ ლ ო მ თ ა თ ი ძ ე განუმარტავს საბჭოს აღწერილობის ფურცელს, რომლითაც შეიძლება აგრეთვე საკმაო სტატისტიკურ ცნობების მიღება და მოითხოვს, რომ ინსტრუქციების შემუშავება დაევალოს დამფუძნებელ კრების საარჩევნო ცენტრალ კომიტეტს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. მოითხოვს, რომ ცენტრალურ კომიტეტის უფლებებზე მაშინ იყოს მსჯელობა, როცა იგი იქნება არჩეული.

კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა

შემდეგ საბჭო იხილავს კანონ-პროექტს საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადის შესახებ.

მომხსენებელი დ. შ ა რ ა შ ი ძ ე აღნიშნავს, რომ საკანცელარიო ხარჯების გადიდების გამო გადასახადი 5-ჯერ უნდა იქმნას გადიდებული. გადასახადია ორნაირი. ერთი იმ თანხის რაოდენობაზე, რომელსაც შეადგენს საბაჟო გადასახადი და მეორე—პირდაპირ დოკუმენტზე.

მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

ხარჯთ-აღრიცხვას უდგენს საბჭოს დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ საქმეთა საგარეო სამინისტროს შემოსავალი არსაიდან არა აქვს. მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო არის სახელმწიფო ხაზინა. ამიტომ პარლამენტმა ხარჯთ-აღრიცხვა აუცილებლივ უნდა დაამტკიცოს, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი დამოუკიდებლობა სცნეს სხვა და სხვა ნეიტრალ სახელმწიფოებმა, ამ სამინისტროს უხდება მათთან დიპლომატიურ კავშირის დაჭერა, რაც მოითხოვს ხარჯებს.

მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს ხარჯთ-აღრიცხვით.

ძირითადი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 102.550 მან. შემდეგ დამატებით ხარჯ-აღრიცხვაში შედის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისაღებად—150.000 მან. საქართველოს წარმომადგენლებისათვის 125.000 მან. მინისტრის განკარგულებაში—100.000 მ.

აკ. ფ ა ლ ა ვ ა (ს. ფ.) მოითხოვს, რომ სამინისტრომ ცალკე წარმოადგინოს საქართველოს წარმომადგენლების შესანახავად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან მათთვის გადადებული 125.000 მანეთი ეხლა მეტად მცირეა.

ხარჯთ-აღრიცხვას საბჭო ღებულობს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია წანადადება, რომლის თანხმადაც საბჭოს კრებები უნდა იწყებოდეს 12 საათ. და თავდებოდეს 3 საათ.

ფალავა. აღნიშნავს, რომ კრება მაინც ნახევარი საათი შეიგვიანებს, ამიტომ სამზე გათავება ადრე იქნება.

ირ. წერეთელი. აღნიშნავს, რომ ამ წინადადებით მათ აზრად აქვთ ძროხელ და სამუდამოთ მოსპონ ის ჩვეულება, რომლის თანახმადაც კრება დანიშნული 11 საათზე იწყება 2 ნახევარზე. ორატორი მოითხოვს, რომ კრება იწყებოდეს სრულ 12 საათზე და თავდებოდეს 3-ზე.

სპ. კედია (ერ. დემ.). ორატორს 3 საათი საკმაოდ არ მიაჩნია საპარლამენტო მუშაობისათვის. მოითხოვს კრების 4 საათამდის გაგრძელებას.

საბჭო იღებს სოც.-დემოკრატების წინადადებას, რომლის თანახმადაც შემდეგში კრებები 12 დაიწყება და 3 გათავდება.

დასასრულ პარლამენტი ისმენს სომხეთის პარლამენტის დეპეშას:

„სომხეთის საბჭომ ოქტომბრის 29-ს სხდომაზე სიამოვნებით მოისმინა მინისტრ-თავმჯდომარის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მოსაზღვრე ჯარებს შორის მომხდარი კონფლიქტი ურთი-ერთი შეთანხმების გზით იქნება გათავებული. მისცა რა სათანადო წინადადებანი თავის მთავრობას, სომხეთის საბჭომ დაადგინა: მიმართოს საქართველოს პარლამენტს და გამოსთქვას ღრმა რწმენა, რომ ვერავითარი გაუგებრობა ვერ შეარყევს საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ კავშირს, ორ მოძმე ერს რომ აერთებს. საბჭოს სწამს, რომ საქართველოს პარლამენტი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მომავალი მოლაპარაკება მშვიდობიანად დამთავრდეს.

სომხეთის საბჭოს თავმჯდომარე: სააკიანი.

ამასთანავე მთავრობის კანცელარია იუწყება, რომ დეპეშა დაგვიანდა, რადგან ტფილისის რადიო-სადგური არ ღებულობდა დეპეშებს. მთავრობის საქმეთა მართველი: კონსტანიანი. (ტაში მარცხნივ და ცენტრში).

რ. არსენიძე. (ს. დ.) ფრაქციის სახელით წინადადებას აძლევს პარლამენტს, რომ პრეზიდიუმს დაევალოს აცნობოს სომხეთის საბჭოს, რომ ჩვენი პარლამენტი გამოსთქვამს ასეთივე ზავისა და მშვიდობიანობის სურვილს.

დავ. ვაჩნაძე. ქსანის ხიდი მოიგონეთ, ბატონებო!

## კანონ-პროექტები

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში სამოცდა ერთი ათას ხუთას მანეთის გადაცემისა.

1. გადადებულ იქნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში სამოცდა ერთი ათას ხუთასი მანეთი (61.500 მ.) იმ წინასწარ მუშაობის საწარმოებლათ, რომელიც საჭიროა რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ მინერალურ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასასვლელათ თანახმად ამ კანონთან დართული დროებითის შტატისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

მოკლე განმარტება კანონისა 61.500 მან. მიცემის შესახებ.

7 მარტის კანონით ტყეები, მადნები და წყლები არ შედიან იმ ფონდში, რომელიც მცხოვრებთ შორის უნდა იქნას განაწილებული. აქედან აშკარაა კანონმდებლობის განზრახვა და თვით კანონის აზრი, რომ აღნიშნულ კატეგორიის მამულები უნდა გახდნენ სახელმწიფო საკუთრებათ. მაგრამ კერძოთ სამკურნალო წყლების შესახებ კანონი გარკვეულს არას ამბობს; ამის გარკვევით აღნიშვნა კი საჭიროა განსაკუთრებით კი იმის გამორკვევა, იქნება თუ არა აქ განსაზღრული ნორმა. ამ საკითხის შესახებ ცალკე კანონ-პროექტი უკვე მზადდება, მაგრამ სანამ ასეთი კანონ-პროექტი დამზადდებოდეს საჭიროა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გამოარკვიოს სამკურნალო წყლების რაოდენობა, მათი თვისება-ღირსებანი და სხვა, რომ ამ გზით მომზადდეს ნიადაგი აღნიშნული ადგილების საბოლოვოთ სახელმწიფოს ხელში გადასაცემათ.

ამ მიზნისთვის მიწათ-მოქმედების სამინისტროს უკვე შეუდგენია ხუთი კომისია: 1. სიღნაღ-თელავ-თიონეთისა, 2. ტფილის-დუშეთ-ბორჩალოსი, 3. შორაპან-გორის, 4. რაჭა-ქუთაისის და 5. ოზურგეთ-სენაკ-ზუგდიდის.

სამინისტროს გამოანგარიშებით კომისიები აღნიშნულ სამუშაოს შესრულებას შესძლებს ორი თვის განმავლობაში და სულ მოუნდება 61.500 მანეთი თანახმათ წარმოდგენილ დროებითის შტატისა. კომისიის წევრები დროებით მოწვეულებათ ჩაითვლებიან და მუშაობის დასრულების შემდეგ არ მიიღებენ ეგრეთ წოდებულ სალიკვიდაციო ჯილდოს.

## გერმანია

გერმანიის დელეგაციის ცნობით, შეიდემანმა წარუდგინა იმპერიის კანცლერს მემორანდუმი, სადაც ის აღნიშნავს თავის პარტიის სახელით, რომ სასურველია იმპერატორი ვილჰელმი გადადგეს ტახტიდანო. რით გათავდება ამ მემორანდუმის ისტორია, ჯერ ძნელი სათქმელია. თვით იმპერატორი ვილჰელმი ამ ჟამად იმყოფება დასავლეთის ფრონტზე. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოსვლამ დასავლეთ ფრონტზე, უმთავრეს სამხედრო ბანაკში, იქონია დიდი შედეგი გერმანიის ჯარისათვის. ამ უკანასკნელის მოქმედება ბრძოლის ველზე უფრო გაცხოველდა და გაძლიერდაო. სხვათა შორის ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ დიდად სასტიკმა შეტევამ ამ უკანასკნელ დღეებში ინგლის-საფრანგეთ-ამერიკელთა ჯარისამ უმნიშვნელო შედეგებით გაიარა.

თვით გერმანიის შინაგან პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ დიდი ამბების შემდეგ, არავითარი ახალი ცვლილება აღარ მომხდარა. მთელ გერმანიაში სრული მშვიდობიანობა არსებობს, რაიმე ექსცესებს იქ ადგილი არა აქვს.

## ოსმალეთი

გერმანიის დელეგაციის ცნობით, რადიო სადგური „ოსმანიე“ ჯერ კიდევ მუშაობს. რადიო-სადგურის მოსამსახურეები, რომელიც შესდგება გერმანელებისაგან, თავის ადგილზედ არიან, მაშასადამე, სტამბულის ინგლისელების მიერ დაკავება, როგორც ეს ზოგიერთ გაზეთის ცნობების თანახმად ვითომ უკვე მოხდა, მართალი არ არის.

## ამიერ-კავკასია

ბაქო და ბათუმი.

გერმანიის დელეგაციის ცნობით ბაქოდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა იქ მყოფი გერმანიის დელეგაცია. შეიძლება ამ დელეგაციის მიერ ბაქოს დატოვება მით აიხსნებოდეს, რომ ბაქოს რამე საფრთხე მოელოდეს ბიჩერახოვისა და ინგლისელების მიერ.

ბათუმის შესახებ გერმანიის დელეგაციას ტფილისში არავითარი ცნობა არ მიუღია ამ უკანასკნელ დღეებში.

## ადერბეიჯანი

სომხების გადასახლების შესახებ.

ქ. ბაქოს დროებით რუსულ ეროვნულ კომიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანში, ხელი შეუწყოს მათ საქართველოს ტერიტორიაზე სომხების მშვიდობიანათ გადასვლას.

რუსების გაშვების შესახებ.

ქალაქ ბაქოს დროებით რუსულ ეროვნულ კომიტეტმა მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას თხოვნით,—გამომუშავებულ იქმნას ახლო მომავალში რუს მცხოვრებთა ევაკუაციის პირობები. ეთხოვა აგრეთვე,—მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი უფასოთ იქნან გაგზავნილი, დანარჩენი კი დაკლებულ ტარიფით და საერთოთ გაუადვილონ მათ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მგზავრობა.

საქმეების მიღება.

ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელმა მ. ჯაფაროვმა მირზა შერიფ მირზაევს მიანდო ამიერ-კავკ. ყოფილ მეფის ნაცვლის კანცელარიიდან მიიღოს ყველა საქმეები, რომელიც ეხება მუსულმანთა სამღვდელოებას, განათლებას, კერძო განყოფილებას და ყოფილ ბეჭვდითი საქმის კომიტეტს.

## ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი, 4 ნოემ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. გენტის ჩრდილოეთით ჩვენი ახალი პოზიციების წინ სადარაჯოების ბრძოლა იყო. აქ არხთან და ქალაქის განაპირას, დასავლეთის მხრით, მტერთან ბრძოლა გვაქვს. ვალონსიენის აღმოსავლეთით ფრონტი რამოდენიმეთ უკან დავსწიეთ. სალამოთი მტერი ონნესა, ჟენსიენსა და ვალლესპოლტან იყო. ლეკესნუას და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლანდრესის დასავლეთით კონტრიერიშით მტრის განახლებული იერიშები შევაჩერეთ.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალვიცის არმიები. უაზის და ენის შუა სალამოთი საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, ხოლო ბონონთან და გიზის ჩრდილოეთით კი მძაფრი ხასიათი მიიღო, რადგანაც მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მაასის დასავლეთით, რამდონიმეთ უკან დავიხიეთ, რასაც კავშირი აქვს ენის აღმოსავლეთით გუშინ ჩვენ უკან დახევასთან. ლეშესნის სამხრეთით და ვეკრიერთან მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. სომმათო ბელვილს შუა ამერიკელების საიერიშოთ წამოსული ჯარი ბელვილის ჩრდილოეთით ტყეში შევაჩერეთ. მაასის აღმოსავლეთის მხარეზე მტრის შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაასის და მოზელის შუა მტერს იერიში მოაქვს. მოზელის დასავლეთით ჩვენ დავსტოვეთ თხრილების ის პატარა ნაწილებიც, რომლებიც უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენს ხელში იყო დარჩენილი.

ბერლინი. 4 ნოემბ. სალამოს სამხედრო ცნობა. უაზის და შელდას შუა ბრძოლაა. 60 კილომ. ფრონტზე ინგლისელების და ფრანგების განახლებულმა ცდამ გაერღვიათ ფრონტი, უნაყოფოდ ჩატარდა. ლე-კესნუასა და ანდრეს შუა მოტანილი იერიში ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერა. დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები ჩვენმა მოწინავე ძალამ შეაჩერა. მაასის დასავლეთით, დვიელეცკის ტყეში ბრძოლა გრძელდება.

## ცნობები მოსკოვიდან

(საქ. დეპ. სააგ.)

ვენა, 2 ნოემბერი. მუშებისაგან შესდგა წითელი გვარდია. სტუდენტობა და ოფიცრობა ადგენს თეთრ გვარდიას. კროაციის მთავრობამ ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტა ბუდაპეშტთან.

სადგურ კორნოფორნი, 2 ნოემბერი. ოსმალებმა მიიღეს დროებითი ზავის პირობები: არმიის დაუყოვნებლივი სრული დემობილიზაცია, ყველა სამხედრო გემების მოკავშირეებისათვის გადაცემა.

ბერლინი, 2 ნოემბერი. პოლონეთის სარეგენტო საბჭომ გამოაქვეყნა საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონი.

ბუზულუკი, 1 ნოემბერი. ჩვენი ჯარი მტერს ფეხდაფეხ სდევნის. მტერი სუსტი ძალებით გვებრძვის. ბუზულუკის აღების დროს წითელ არმიის ნაწილებს შეხვდნენ მუშები, რომლებმაც მიტინგი მოაწყვეს. მუშების წარმომადგენლებმა მადლობა გამოუცხადეს ქალაქის აღებისათვის.

ბუგურესლანი, 1 ნოემბერი. მთავარ სარდალმა ვაცეტისმა „რკინის დივიზიას“ გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღფრთოვანებას გამოსთქვამს. რკინის დივიზიამ ორ კვირაში ბრძოლით 600 ვერსი გაიარა, დაიპყრო: სიმბირსკი, სიზრანი, უგურუსლანი და ბუზულუკი. ხელთ იგდო დიდი დავლა და გამარჯვებით წინ სვლას განაგრძობს.

ვორონეჟი, 2 ნოემბერი. პავლოვსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილი წინ მიიწევს. ყაზახები უწესრიგოთ უკან იხევენ.

ხარკოვი, 1 ნოემბერი. ქალაქის ცენტრში დღეს ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა. სხვა ქალაქებიდანაც ასეთივე ცნობები მოდის.

ოდესა, 1 ნოემბერი. აღმოაჩინეს დიდი ქარხანა, სადაც დონისა და უკრაინის ყალბ ფულს აკეთებდნენ.

კურსკი. 2 ნოემბ. ყირიმში მთავრობა აღარ არის. სულკევიჩს არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ემხრობა. კომუნისტების პარტია იზრდება და თავისუფლად მუშაობს.

ვორონეჟი. 3 ნოემბ. კრასნოვის ბრბო სოფლებს ანადგურებს და ქონებას იტაცებს. მისმა პოლიტიკამ თეთრ გვარდიელების ნაწილები დაქსაქსა. პოლკიდან ბევრი გარბის და საბჭოთა მხარეზე გადადის. დონის კომუნისტების პროპაგანდამ გავლენა იქონია კრასნოვის ჯარის კაცებზე.

დონის-როსტოვი, 2 ნოემბერი. კავკავის რკინის გზის გაფიცვა გრძელდება. მთავრობა რეპრესიებით ემუქრება. არმავირიდან იუწყებიან, რომ რევოლიუციონური მოძრაობა სტავროპოლის გუბერნიაშიც დაიწყო. მოხალისეთა რაზმის ნაწილი მეამბოხეთ ემხრობა.

ეკატერინოსლავი, 1 ნოემბერი. საარტილერიო საწყობები აფეთქდა.

სარატოვი, 1 ნოემბერი. ასტრახანში უნივერსიტეტი გაიხსნა, დაიწყო ლექციები.

ასტრახანი, 3 ნოემბერი. ზოგიერთ სტანიცებში ღარიბ ყაზახთა კომიტეტები დაარსდა.

მოსკოვი. 4 ნოემბერი. სამხედრო ცნობა. უკანასკნელ ცნობებით, ჩრდილოეთის ფრონტზე, მოწინააღმდეგის ჯარი უკან იხევს. ფსკოვის მიმართულებით თეთრ-გვარდიელების ნაწილი ეცადა სადემარკაციო ხაზზე, ფსკოვის ტბის აღმოსავლეთ ნაწილთან გასვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ურალის ფრონტზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ მიმდინარეობს. დასავლეთის ფრონტზე, ყველა მიმართულებით ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ. კრასნო-იართან ჩვენ ძლიერ დავამარცხეთ მტერი. ჩვენი კავალერიის და ჯავშნიანი ავტომობილების დახმარებით მოწინააღმდეგემ დასტოვა მრავალი სამხედრო ქონება; ბევრია დახოცილი და ტყვეთ წაყვანილი.

მოსკოვი, 4 ნოემბერი. სამხედრო ცნობა. გუშინ კამიშინის ფრონტზე შეტევა დაიწყო. უფის მიმართულებით მოწინააღმდეგე სადგურ აბდულიანზე რამოდენიმე ვერსით არის დაშორებული. ბუზულუკსკის მიმართულებით ორენბურგის რკინის გზის ხაზის ათი ვერსის მანძილზე გლეხთა აჯანყებაა. აჯანყება ყაზახების ბრძოლების მიერ უწესოების ჩადენის გამო არის გამოწვეული. გლეხები ყაზახების რაზმს ჟლეტენ.

გერმანული პრესა. 3 ნოემ. გერმანულ-ავსტრიის სახელმწიფო საბჭომ ვენაში ავსტრიის გერმანელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანულ ავსტრიისთვის შემუშავებულია დროებითი კონსტიტუცია და არჩეულია სახელმ. საბჭო, რომელიც ეხლა გერმანულ-ავსტრიის მართველობას თავის ხელში ღებულობს. სახელმწიფო საბჭო დაუყონებლივ ნიშნავს გერმანულ-ავსტრიის პირველ მთავრობას, რომელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს მომავალში, გერმანულ-ავსტრიის მართვა-გამგეობას მოვალეობად მიიღებს და გერმანულ-ავსტრიის ჯარის მთავარ-სარდლობას გასწევს. გერმანულ-ავსტრიის მთავრობა გერმანულ ოლქებში სრულ მფარველობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობებს და იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა ეროვნებათა მთავრობებიც ასევე გაუწევენ მფარველობას გერმანელთა უმცირესობას სლავიანურ ოლქებში. საბჭომ მოუწოდა ავსტრიის გერმანელებს სიმშვიდე დაიცვან, თვით დისციპლინა განავითარონ და მოერიდონ იმას, რაც ხელს შეუშლის გერმანულ-ავსტრიაში ძალაუფლების გადაცემას და ზავის ჩამოგდებას, რომელიც უნდა შეკრას გერმანულმა სახალხო მთავრობამ გერმანიის იმპერიის თანხმობით.

ვენაში შესდგა ჯარის კაცთა დეპუტატების დროებითი საბჭო.

გუშინ დაიწყო მოლაპარაკება გერმანულ ავსტრიულ არმიის შესახებ. აღმოსავლეთ გალიციაში პოლონელთა და უკრაინელთა შორის ბრძოლის შესახებ ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ 1 ნოემბერს, ღამე ქალაქი ლემბერგი გერმანულ - ავსტრიულ და უკრაინულ ეროვნებათა პოლკებმა აიღეს. რადგანაც ქალაქის წყობრივ ევაკუაცია უკვე დაწყობილი იყო, მეციხოვნე ჯარის წინააღმდეგობა შეუძლებელი დარჩა. გენერალ კუხალსკის ჯარზე იერიში მიიტანეს მდ. სანის მეორე ნაპირიდან წინეთ ზარამიკაზე მდგარმა ჯარებმა. გონვებთან ერთი პოლკი გენერალ პუხალსკის გადაუდგა. პერემიშლზე შემოტევას პუხალსკი მთელი დღე იგერიებდა იგი ყოფილ ლეგიონერებს და სტუდენტთა ჯგუფს სათავეში ედგა. რკინის გზის ხიდი მდ. სანზე აფეთქებულია. პერემიშლი რუსინების ხელშია. „გოდინა-პოლსკას“ ცნობით ავსტრიის განსაკუთრებული არმია გენერ. საუსკის ხელმძღვანელობით, სადაც ერცგერცოგი ვილხოლმიც იმყოფება რავა-რუსკაზე და ზამოკზე შეტევას განაგრძობენ.

საქსონიის სეიმის მეორე პალატამ 75 ხმით სამი დამოუკიდებელ ს. დ. წინააღმდეგ მიიღო პარლამენტის მთავრობის კანონ-პროექტი. მინისტრებათ დაინიშნენ სოც. ფრესდორგი, სეიმის წევრი ხელდი, სახალხო პარტიის წევრი გენტერი და ეროვნულ-ლიბერალი ნიჩკე.

## ტფილისის კონსერვატორია.

ახალი დირექტორის ბ. ჩერეპნინის მოსვლისათანავე ტფილისის კონსერვატორიას სიცოცხლე დაეტყო: შესდგა საოპერო კლასი, რომელშიაც საუკეთესო ძალები არიან მოწვეულნი მასწავლებლად. ამ მოკლე ხანში გაიმართება ჩაიკოვსკის საიუბილეიო სალამო, რომლისთვისაც განსაკუთრებული პროგრამმა მზადდება-ანსამბლი ოპ. „იოლანტადგან“ და „ორლეანსკაია დევა“-დან მუსიკა ჩაიკოვსკისა. შესრულებული იქნება ბ. ჩერეპნინის ხელმძღვანელობით მოწაფეთაგან იმედია ბ. ჩერეპნინი როგორც საუკეთესო დირიჟორი მოწაფეთა ძალებით დასდგამს როგორც ცალკე სცენებს სხვა და სხვა ოპერიდგან ისე მთლიან ოპერებს, რითაც ახალგაზდა მომღერლებს გაწვრთნის და მოამზადებს სასცენოთ. ბ. ჩერეპნინში ვხედავთ ჩვენ დიდ მცოდნე მუსიკოსს, მასთან ენერგიით სავსე და სიმპატიურ ადამიანს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას. იმედი გვაქვს, საზოგადოება მას ღირსეულად დააფასებს.

ცხადია, ტფილისის კონსერვატორიაში საქმე ძალიან კარგად დადგება, რადგან სათავეში უდგიან იმისთანა საქმის მცოდნე და ენერგიით სავსე ადამიანები, როგორიც არიან ბ. ბ. ნ. ჩერეპნინი და ზ. ფალიაშვილი.

დ. ლეჟავა.

# ქრონიკა

◯ საქართველოს მოხელეთა კავშირის პრეზიდიუმი და საგანგებოდ არჩეული კომისია 10 ნოემბერს დილის 10 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში იწვევს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე მოხელეთა საზოგადო კრებას. კრებაზე დასწრება შეუძლიან პროვინციის დელეგატებსაც. კრების მიზანია: 1. პრეზიდიუმის მოხსენება საბჭოს მოქმედებაზე პროფესიონალური კავშირის დაარსების შესახებ, 2. კოოპერატივისა და საკრედიტო ამხანაგობის დაარსება. 3. საბჭოს არჩევნები, 4. ჯამაგირების საკითხი და სხვა.

◯ საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა მოაწყოს მოწაფეთათვის მთელი რიგი ექსკურსიებისა, როგორც ტფილისში, ისე მის გარედაც. მოწაფეებმა ამ დღეებში დაათვალიერეს არსენალი.

◯ ტფილისის მაზრის კომისარმა აცნობა საგუბერნიო კომისარს, რომ სოფ. ხაშმის მცხოვრებელ ვ. გ. მაისურაძეს მოუკლავს მუხროვანის სამთო ბატარეის ჯარის-კაცი შ. ბრეგვაძე. გამოძიება სწარმოებს.

◯ 4 ნოემბერს სერგეევის ქუჩაზე სროლის დროს დასჭრეს მილიონერ არამიანცის შვილი არამი.

◯ სომხების წარმომადგენელმა თურქიანმა ფოთიდან ჯამალიანს ტფილისში დეპეშით შეატყობინა, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრი ლტოლვილები მიდიან რუსეთისაკენ და ვინაიდან გემები არ არის და წასვლა გაძნელებულია, სომხები დიდ გაჭირვებას განიცდიან. თურქიანი სთხოვს ჯამალიანს ზომები იღოს, რომ სომხები ფოთისაკენ აღარ წავიდნენო.

◯ 4 ნოემბერს ღამით გრიბოედოვის ქუჩაზე ეტარიანის საცეკვაო სკოლაში მეცადინეობის დროს შევიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და სკოლის კორიდორში სროლის შემდეგ გაიტაცეს მოწაფეთა პალტოები და ზედასაცმელები.

◯ 4 ნოემბერს საღამოს 6 საათზე იზმაილოვის ქუჩაზე ცირკის პატრონ ესიკოვსკის ბინაზე შეცვივდენ ბოროტ განმზრახველები და გაძარცვა მოუნდომეს. ეს ამბავი ესიკოვსკის ბინიდან აცნობეს პირველ უბნის კომისარიატში, საიდანაც სასწრაფოდ მოვიდნენ მილიციონერები და თავდასხმელნი შეიპყრეს.

◯ 4 ნოემბერს დღისით მიხეილის ქუჩაზე სასტუმრო „ნოეს“ თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაძარცვეს მდგმურები, რომელთაც რამდენიმე ოცეული ათასი მან. ფულად და სხვა ძვირფასი ნივთები წაართვეს. მძარცველები მტკვარზე ბორნით გავიდნენ და ვერისკენ გაიქცენ, მაგრამ პირველ უბნის მილიციონერებმა ისინი შეიპყრეს.

◯ 4 ნოემბერს შესდგა კრება ხარჯის ამკრეფ ინსპექციის, ხაზინის და სახაზინო პალატის მოსამსახურეებისა, რომელთაც დაადგინეს მთავრობას წარუდგინონ მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ და ვიდრე მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდნენ, გაფიცვა გამოაცხადონ.

◯ ცენტრალურმა სასურსათო კომიტეტმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, რომ ტფილისის მცხოვრებთ ოქტომბრის და ნოემბრის შაქარი ერთად მიეცეს. გამგეობამ ეს შეუძლებლად სცნო.

# ქუთაისი

◯ ქუთ. სამაზრო საერობო გამგეობამ მთელს მაზრაში დაგზავნა ექიმთა რაზმი სხვადა სხვა ავათმყოფობათა საბრძოლველათ.

◯ საერობო გამგეობის წევრებს შორის შემდეგნირად არის განაწილებული შრომა: გამგეობის თავმჯდომარეს კ. სულაქველიძეს მიენდო საერთოთ ფინანსიური და შკოლის საქმეები. თავმჯდომარის ამხანაგს გრ. სოლორაშვილს—მიმდინარე ფინანსები, ბუჰხალტერია, კანცელიარია, სასურსათო საკითხი, კოოპერაცია და სტატისტიკა. ვ. ფალავანდიშვილს—ეკონომიური საკითხები, გზა, ფოსტა და საბეითლო საკითხები. შ. სანებლიძეს—იურიდიული განყოფილება, სამკურნალო, შრომა და ადმინისტრაცია. მდივნათ მოწვეულ იქნა ალექსანდრე პაპავა, ბუჰხალტერათ გრიგოლ გოგელია.

◯ ყვირილის ქალაქის თვითმართველობა ატყობინებს ლტოლვილთა საგუბერნიო კომიტეტს, რომ იქ იმყოფება 200-მდე ლტოლვილი, რომელთა შორის მძინვარებს სხვა და სხვა ავათმყოფობა. ამიტომ საჭიროა მათთვის მოეწყოს, როგორც საავათმყოფო აგრეთვე თავშესაფარიც, თორემ მათი ასეთი მდგომარეობა დიდ საფრთხეს უმზადებს მაზრას. ყველა გასაწევ ხარჯებისათვის საჭიროა 86 ათასი მანეთი.

◯ ოზურგეთიდან იტყობინებიან, რომ იქ გაჩნდა ხოლერა. ამისათვის საგუბერნიო ექიმთა სამართველომ გაგზავნა ექიმი იოსებ შავგულიძე.

◯ საერობო გამგეობამ უკვე დაიწყო მიღება სხვა და სხვა დაწესებულებათა საერობო ქონებისა.

◯ ხელოსანთა საღამოს სკოლაში უკვე დაიწყო მეცადინეობა. სწავლა იწყება საღამოს 5 საათზე და თავდება 8 საათზე. საჭიროა ყველა პროფესიონალურმა კავშირებმა განსაკუთრებული კომისიები შექმნან თავიანთ დარგში, რომელნიც თვალყურს ადევნებენ, თუ რომელი ხაზეინი არ უშვებს შეგირდს ხსენებულ სკოლაში.

◯ ასტრახანის ქართველები და ბოლშევიკები. ქალ. ასტრახანიდან ჩამოსულმა ვაჭარმა გვიამბო, რომ ასტრახანში მცხოვრები ქართველი პოლიტიკურები განსაკუთრებულ დევნას განიცდიან ბოლშევიკებიდან. რამდენიმე მათგანი დახვრიტეს კიდეც, მათ შორის სამუელ მახარაძეც. შალვა აბდუშელიშვილმა და სხვებმა დამაბარეს გადმომეცა მათი თხოვნა, რომ საქართველოს მთავრობამ რამე დახმარება აღმოუჩინოს დევნილებს. წამოსვლა საშიშოა მატროსების მხრივ. მატანეს წერილი მაგრამ ვერ გავბედე, რადგან თუ მინახავდენ ზღვაში გადამაგდებდენ.

ასტრახანში ბოლშევიკებს განუხორციელებიათ სავაჭროების ნაციონალიზაცია. მასხულიას საქონელიც დიდ მაღაზიაში გადაუტანიათ, და უთქვამთ ფულს მიიღებო, მაგრამ ის წამოსულა, რადგან იმდენს იძლევიან ცდათ არ ღირს და შეიძლება თანაც გადაგიყოლონო.

საქართველოდან იქ ჩასული რუსი მოხელეები თურმე ძალიან სწუხან, რომ დატოვეს ეს ძვირფასი რესპუბლიკა. გვირჩევნოდა იქ შავ მუშათ ყოფნა ვიდრე ამ ჯოჯოხეთში ჩავარდნაო. ვინც მოახერხებს ბრუნდება კიდეცაო.

◯ სამტრედიის რაიონში ცხენების ქურდობისათვის დააპატიმრეს და ადმინისტრატიული წესით სამი თვის ციხე მიუსაჯეს ივანე ქვანიას, ბესარიონ და მიხეილ დუხდუებს და კირილე წოწონიას.

◯ სამტრედიის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი, მთავარი შტაბის განკარგულებით აწ იქნება ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბათ. არსებული შტაბი მოკლე მომავალში შეუდგება მაზრაში მუშაობას და ყველგან ქვე-რაიონულ შტაბების შექმნის.

◯ სამტრედიის შტაბმა მოახდინა გვარდიელების დემობილიზაცია და ყველა რკინის გზელი თავის მოვალეობას დაუბრუნდა. საჭიროების დროს აღნიშნული გვარდიელები თოფ-ქვეშ დადგებიან. შტაბის გვერდით არსებობს ეგრეთ წოდებული „სპეციალური რაზმი,“ რომელიც ისაზღვრება 50 კაცით.

◯ სამტრედიის გვარდიის სპეციალურმა რაზმმა აქ აღმოაჩინა 6 ფ. გადამალული ნავთი, რომელიც აღმოაჩნდათ მოვაჭრეს გ. ბაღდავაძეს და ა. კალაძეს. ამავე რაზმმა სარქისიანის ბინაზე აღმოაჩინა გადამალული 755 წყვილი შეკერილი წუღა.

ამავე რაზმმა 27 ოქტომბერს, გაჩხრიკა გიორგი ბაღდავაძე, რომელსაც აღმოაჩნდა თოფები და პატრონები, სახაზინო ნივთები, ყალბი ათ-ათ შაურიანები და ნიკოლოზის ფული 6000 მან. ამავე დღეს ამავე რაზმმა ტარასი ფხაკაძეს აღმოუჩინა სახაზინო ნივთები.

◯ გვარდიის საზოგადო კრებაზე აირჩიეს საამხანაგო სასამართლო, სადაც ყოველგვარი უწესოება გვარდიელის მიერ ჩადენილი ამ სასამართლოში გაირჩევა.

## განცხადებები

# წესდება

## კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო საქციო საზოგადოებისა.

§ 65.

საზოგადო კრების გახსნამდის სარევიზიო კომისიამ უნდა გადასინჯოს გამგეობის მიერ შედგენილი სია აქციონერებისა (§ 64). თუ დამსწრე აქციონერებმა, რომელთაც ექნებათ არა ნაკლებ $^1/_{20}$ ნაწილი ყველა აქციებისა, მოითხოვეს სიის გადასინჯვა კრებაზედვე, ეს საქმე უნდა მიენდოს აქციონერთა მიერ არჩეულს არა ნაკლებ სამს აქციონერს, მათ შორის ერთი კაცი მაინც უნდა აირჩიოს აქციონერთა იმ ჯგუფმა, რომელმაც მოითხოვა სიის გასინჯვა.

§ 66.

კრებას გახსნის საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. პირველ კრებას გახსნის ერთ-ერთი დამფუძნებელი. კრების გახსნის შემდეგ აქციონერები, რომელთაც ხმის უფლება აქვთ, თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. საზოგადო კრების თავმჯდომარეს უფლება არა აქვს თავის ნებით გადასდოს განხილვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელნიც შეტანილია საზოგადო კრებაზე.

§ 67.

საზოგადო კრება რომ კანონიერი იყოს, საჭიროა მის დამსწრე აქციონერებს ან მათს რწმუნებულებს ჰქონდეთ საერთოდ არა ნაკლები ყველა აქციების $^1/_5$-სა, ხოლო გადასაწყვეტად საკითხებისა შესახებ ძირითადი თანხის მომატებისა ანუ დაკლებისა, წესდების შეცვლისა და საქმის ლიკვიდაციისა საჭიროა დასწრება აქციონერთა ან მათი რწმუნებულთა, რომელთაც უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ ყველა აქციების ნახევრისა.

§ 68.

საზოგადო კრების დადგენილება სავალდებულოა თუ იგი მიღებულია ხმების $^3/_4$ უმეტესობით აქციონერთა ან მათი რწმუნებულთა, თანახმად ხმების დათვლისა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია მე-60 §-ში. საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა და აგრეთვე საზოგადო კრების თავმჯდომარის ასარჩევად საჭიროა ხმის უბრალო უმრავლესობა.

§ 69.

თუ დამსწრე აქციონერთ ან მათს რწმუნებულთ არ აღმოაჩნდათ იმდენი აქციები, რამდენიც საჭიროა კანონიერ კრებისათვის (§ 67), ან თუ საზოგადო კრებაზე საქმის გადაწყვეტის დროს $^3/_4$ ერთის აზრისა არ აღმოჩნდა—გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკმარისია ხმების უბრალო უმრავლესობა (§ 68)—მაშინ არა უგვიანეს ოთხი დღის შემდეგ უნდა მოწვეულ იქნეს მეორე საზოგადო კრება, რომელიც ვერ შესდგება 14 დღეზე ადრე დღიდან გამოცხადებისა, ამასთან უნდა დაცულ იქნეს მე-53 §-ში აღნიშნული წესები. ეს კრება და მისი დადგენილებანი კანონიერი იქნებიან, რამდენი წილიც აღმოაჩნდებათ საერთო აქციებისა დამსწრე აქციონერებსა და მათს რწმუნებულებს, რაც გამგეობამ უნდა გამოაცხადოს მეორე კრების მოწვევის დროს. მეორე კრებამ უნდა განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რომელიც განსახილველი ჰქონდა პირველ კრებას, ანუ რომელნიც მან ვერ განიხილა. ეს საკითხები სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

§ 70.

იმ აქციონერებს, რომელნიც არ ეთანხმებიან უმრავლესობას, შეუძლიანთ შვიდი დღის განმავლობაში კრების შემდგომ შემოიტანონ თავიანთი აზრი, რომელნიც უნდა შეტანილ იქნეს საზოგადო კრების ოქმებში.

§ 71.

თუ საზოგადო კრებაზე ერთმა ხმის უფლებიანმა აქციონერმა მაინც მოითხოვა, კენჭის ყრა უნდა დაფარული იყოს. დაფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, როცა ხდება არჩევა, გადაყენება, ან პასუხისგებაში მიცემა საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

§ 72.

საზოგადო კრების დადგენილებანი სავალდებულოა დამსწრე და არა დამსწრე აქციონერებისათვის.

§ 73.

საზოგადო კრების მიერ განხილულ და დადგენილ საქმეების შესახებ უნდა შესდგეს დაწვრილებითი ოქმი. საქმეების გადაწყვეტის დროს უნდა აღინიშნოს მიცემულ ხმების რაოდენობა და შემოსული განსაკუთრებული აზრები. ოქმების შესადგენად თავმჯდომარე იწვევს აქციონერს ან გარეშე პიროვნებას. თავმჯდომარე პასუხისმგებელია თუ ოქმი არ ეთანხმება კრების დადგენილებას.

ოქმს ადასტურებენ ხელის მოწერით კრების თავმჯდომარე და არანაკლებ 3 აქციონერისა, თანახმად მათი სურვილისა. ყოველს მოსურნე აქციონერს უნდა მიეცეს საბჭოს მიერ ხელმოწერილი ასლი საზოგადო კრების ოქმისა და ყველა საბუთებისა, რომელნიც შეეხებიან ამ ოქმს.

VII. საზოგაოების დავის გარჩევა, პასუხის მგებლობა და მისი მოქმედების შოსპობა.

§ 74.

ყველა სადავო საქმე, რომელიც ატყდება აქციონერთა შორის, ანუ აქციონერთა და საბჭოს, გამგეობისა და საზოგადოების მიერ არჩეულთა შორის, და აგრეთვე დავა საზოგადოებასა და სხვა საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კერძო პირთა შორის, უნდა გადასწყდეს ან საზოგადო კრებაზე, თუ მოდავენი ამის თანახმანი იქნებიან, ან საზოგადო სამართლის წესით.

---

ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერი „ბრაუნინგი“-ს სისტემისა № 183274. 995 3—2

---

შორაპნის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ სოფელ დაბაკინში მცხოვრებმა ლეონტი კელენჯერიძემ დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, № 368 მიღებული ყვირილის მომრიგებელი მსაჯულისაგან ამა წლის აპრილის 3. მნახველს სთხოვს გაუქმებულად ჩათვალოს. 803 3—2

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 13 მის მიერ დამტკიცებულია გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნესტორ კუჭუას ძე ბარძემიშვილმა 1.000 მან. მიჰყიდა სიმონ დიმიტრის ძე პარასკევოპულოს მამული ქ. გუდაუთში, ზომით 125 ოთხკ. საჟ 376 3—2

---

30 ოქტ. დავკარგე საფულე კახეთის მოედანზე, რომელშიც იმყოფებოდა სხვა და სხვა საბუთები: 1) იარაღის ტარების ნება ნაგანისა № 87640, 2) პიროვნების მოწმობა № 630, 3) სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის შტაბის მოწმობა პოდპორუჩიკობის მიღებისა № 789, 4) ლატარიის ბილეთი № 229. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: საქართველოს სამხედრო სამინისტროს საავეჯო ნივთსაწყობში, პოდპორუჩიკი მელაძე. 992 3—2

---

დავკარგე: 1) უვადო პასპორტი ტფილ. პოლიცმ. კანცელარიიდან მიცემული 1908 წ. 2) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა თედორე ლევანის ძე ნუცუბიძის სახელზე, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 990 3—2

---

სენაკის მაზრის კომისარი აცხადებს, რომ მიტროფანე ჯღარკავასამ დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა № 1269, მიცემული სენაკის კომისარიატის მიერ. მნახველს სთხოვენ გამოგზავნოს სენაკის მაზრის კომისარიატში. 803 3—2

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. ივლისის 24 გარდაცვალებულის ალექსანდრა ამპლეევას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ამპლეევას ქონებაზე I ნ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 768 3—3

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 6 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი გირავნობის სიგელი, რომლითაც ირინე ალექსის ასულმა ვალუისკაიამ დაუგირავა იაკობ მარკოზის ძე მიმინოშვილს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში ინჟინრის და ეკატერინეს ქუჩის კუთხეში № 7, რომელიც შეადგენს უფლებას მიწის ნაჭრის $^3/_7$ 10.000 434 3—3

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 7 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეგნატე ოსიპის ძე პაევსკიმ 18000 მან. მიჰყიდა ალექსი ნიკოლოზის ძე კაზანაძეს 2 ნაჭერი მიწა ქ. სოხუმში, ლიტ„ მ.“ ზომით 215 ოთხკ. საჟ. 435 3—2

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 7 ყადაღა დადებული არონ მორთხაის ძე გურჯის ქონებაზე 1917 წლის ყადაღათა კრებ. № 82. გაუქმებულად ითვლება. 439 3—2

---

დავკარგე ნოემბრის 2, ხელის კალათი. კალათში იყო 1) 255 მან., 2) ჩემი პირადობის მოწმობა, მოცემული ადესის ქართულ საკონსულოდან, რომ მე გამოგზავნილი ვიყავი ქართული საზოგადოების გამგეობისაგან შიკრიკათ; წერილები: ნ. ჟორდანიას, ივ. ლორთქიფანიძის, პროფ. მელიქიშვილის სახელზედ და სხვებისთვის. იყო აგრეთვე წიგნები შემნახველი კასის და სხვა ქაღალდები. ვთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს მისთვის გამოუდეგარი ნივთები შემდეგის მისამართით: ტფილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 107, ბინა ალავიძისა, გრიგოლ დალაქიშვილს. 998 3—1

---

ივლიანე ლირდალაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) პირადობის მოწმობები, თავისი და მეუღლის, 2) ორი უფასო რკინის გზის ბილეთი (თავისი და მეუღლის), 3) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, 4) საფულე 300 მანეთით და მეტრიკული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: იურევის ქუჩა, № 28. 999 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.